საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და რეკომენდაციები

უ შ ა ნ გ ი ჩ ხ ე ი ძ ი ს ქ უ ჩ ა №17
დ ი მ ი ტ რ ი უ ზ ნ ა ძ ი ს ქ უ ჩ ა №58




ხედი მთაწმინდიდან, 2009წ.

შემსრულებელი
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
ივნისი
2012

1. ადგილმდებარეობა

წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, ითვალისწინებს უზნაძისა და უ. ჩხეიძის ქუჩებს შორის შიდა კვარტალში მდებარე **ტრავმატოლოგიური საავადმყოფოსა** და **II სამშობიარო სახლის** კომპლექსის დემონტაჟს და მათ ნაცვლად ახალი ნაგებობების აგებას. საპროექტო ტერიტორია მოიცავს ერთმანეთის გვერდით მდგომ ორ ნაგებობას ჩხეიძის ქუჩის პერიმეტრზე – №17 და კიდევ ორ ნაგებობას კვარტალის სიღრმეში მისამართით – უზნაძის ქუჩა №58. ტერიტორიაზე მოხვედრა შესაძლებელია როგორც უზნაძის, ასევე უ. ჩხეიძის ქუჩიდანაც..



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო


საპროექტო ობიექტები უსტატუსო ნაგებობებია

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:


განათლების სამინისტრო – უზნაძის ქ.№52;
საცხოვრებელი სახლი – უზნაძის ქ.№54;
საცხოვრებელი სახლები – უ. ჩხეიძის ქ.№13,15,19;
გალაკტიონის ხიდი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



თბილისის აეროფოტო (ფრაგმენტი), 2006წ



უბნის ხედი მთაწმინდიდან, 2009წ


2. განაშენიანების განვითარება

XIXს-დე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი აღმაშენებლის გამზ. ადგილას ქალაქური დასახლება არ არსებობდა და გაშენებული იყო სადედოფლო ბაღები. თბილისის ისტორიულ გეგმებზე 1850 წ-დე აქ, მხოლოდ ქაოტური დასახლებაა გამოსახული. თბილისის 1867 წ-ის გეგმაზე კი მტკვრის მარცხენა ნაპირზე უკვე ჩანს პარალელური და მათი პერპენდიკულარულად გადამკვეთი ქუჩების რეგულარული განაშენიანების ჩანასახი, რომელიც აქ არსებულ ბაღებზეა დაპროექტებული.

ამ უბანში ძირითადად ცხოვრობდნენ XIX ს-ის შუა ხანებში თბილისში ჩამოსახლებული ევროპელი, ძირითადად გერმანელი კოლონისტები და უბანსაც **„თბილისის კოლონია“** ერქვა. გარკვეულწილად მათ განაპირობეს განაშენიანების რეგულარული ხასიათი. მათ გაიყვანეს მტკვრის ზემო დინებიდან სარწყავი არხი და რწყავდნენ სახლების უკან მდებარე ბაღ-ბოსტნებს. აშენდა გერმანული ეკლესიაც – კირხა და დიდი ხნის მანძილზე ამ ადგილს „კიროჩნი“ ეწოდებოდა. ამ უბნის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო XIXს–ის II ნახევარში, როდესაც უბნის ცენტრალურ მაგისტრალად მიჩნეულ მიხეილის ყოფილი პროსპექტიდან (დღევანდელი დავით აღმაშენებლის, შემდეგ პლეხანოვის), დაიკვალა პარალელური ქუჩები.

უბნის განაშენიანება განსაკუთრებით დაჩქარდა XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად. ამ ვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე მიხეილის და ვერის ხიდების აგებამაც, რის შემდეგაც ეს უბანი უშუალოდ დაუკავშირდა თბილისის ცენტრს.

განაშენიანება პრაქტიკულად დასრულდა XXს-ის დასაწყისში. აქ არსებობდა ორ-სამსართულიანი განაშენიანება, რომელიც გარს შემოუყვებოდა კვარტალების შუაში მდებარე ბაღებსა და გამწვანებულ ტერიტორიას.



უ. ჩხეიძის ქუჩა (ბიმნაზიის სანაპირო), XX ს-ის 10-იანი წწ.
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

ჩვენთვის საინტერესო საპროექტო ნაგებობები აგებულია ერთ-ერთ ასეთ გამწვანებულ ბაღში XX ს-ის შუა პერიოდში. მის გვერდით დგას 1895 წელს აგებული თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობები სადაც ამჟამად განათლების სამინისტროა. ბაღი აღბეჭდილია ზედა საარქივო ფოტოზე.

- *ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება*

უშანგი ჩხეიძის ქუჩა ჩაისახა XIX ს-ის ბოლო მეოთხედში. აქ ვერის ხიდის აგების დროს (1883-85წწ) აამაღლეს მტკვრის ფერდობი და მოეწყო სანაპირო. თავდაპირველად სანაპირო ქუჩა ეწოდებოდა. 1902წ. გეგმაზე აღნიშნულია **გიმნაზიის სანაპიროს** სახელწოდებით. **სანაპიროს ქუჩა**, ეწოდებოდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. XX ს-ის შუა ხანებში ეწოდა **უშანგი ჩხეიძის** სახელი.

უზნაძის ქუჩა ჩაისახა XIX ს-ის შუა ხანებში. უკვე დაპროექტებულია 1867 წ. თბილისის გეგმაზე და ქვია **ვორონცოვის სანაპიროს ქუჩა**, კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის პატივსაცემად. 1899წ მიენიჭა დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელი და ეწოდა **დიდი მთავრის ქუჩა**. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეწოდა **კამოს ქუჩა.** 1990 წლიდან **უზნაძის ქუჩა.**

- *განაშენიანების გეოგრაფიული ხასიათი*

ქუჩათა ქსელის ფორმირებას განაპირობებდა არსებული რელიეფი. უბნის ვაკე ადგილმდებარეობამ და ამ ადგილას ქალაქური დასახლების ადრე არ არსებობამ, განაპირობა რეგულარულად დაგეგმარებული ქუჩათა ქსელი. XIX-XXსს-თა თბილისის გეგმებზე კარგად ჩანს ამ უბნის ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბების პროცესი.

- *განაშენიანების სოციალური ასპექტები*

სოციალური დაკვეთა გარკვეულად განაპირობებდა ქუჩათა სტრუქტურას და ნაგებობათა გარეგან სახეს. სოციალურ ფენათა მკვეთრმა დიფერენციაციამ XIX-XX სს-თა მიჯნაზე განაპირობა პრესტიჟული სამოსახლო უბნების და მათთან მიმდებარე საშუალო და დაბალი სოციალური ფენის სამოსახლოები. აქ პრიორიტეტულად ითვლებოდა მიხეილის პროსპექტი, ხოლო ამ ცენტრალური მაგისტრალის ყოველი მომდევნო ქუჩა ნაკლებ პრესტიჟულად მიიჩნეოდა და ყოველივე ეს აისახებოდა ნაგებობათა ხასიათზე და ხარისხზე.

ამ უბანში მდიდარი ევროპელი კოლონისტები, ძირითადად გერმანელები სახლობდნენ და ეს გარემოებაც თავის დაღს ადებდა უბანს. XX ს-ში უბნის სოციალური სტრუქტურა თანდათან იცვლება და აქ სახლდება საშუალო შეძლების ბურჟუაზია და ინტელიგენცია.

გასაბჭოების შემდეგ მშენებლობის პოლიტიკა შეიცვალა და მისმა ინტენსივობამ გადაინაცვლა ქალაქის ახლად შემოერთებულ უბნებისკენ..

- *განაშენიანების ქრონოლოგიური ჩარჩოები*

უ. ჩხეიძის და უზნაძის ქუჩაზე 1880-იან წლებამდე მხოლოდ ერთი-ორი ნაგებობა იყო აგებული. განაშენიანების ძირითადი ბირთვი აქ XIXს-ის II ნახევრის და განსაკუთრებით XX საუკუნის დამდეგისა და 20-იანი წლებისაა, მაგრამ არის მოზრდილი, XX ს. 30-40-იანი წლების და XX ს-ის II ნახევრის რამდენიმე ნაგებობა უზნაძის და მარჯანიშვილის ქუჩებზე. **ამგვარად განაშენიანების ქრონოლოგია საკმაოდ დიდია – დაარსებიდან, XIX სს-დან, ვიდრე ჩვენს დრომდე.**

- *განაშენიანების სივრცობრივ-გეგმარებითი სტრუქტურა*

თბილისის უძველესი ნაწილებისგან განსხვავებით, ეს უბანი თავიდანვე რეგულარული განაშენიანებით დაიგეგმა, თუმცა უშუალოდ კვარტალთა გენეზისი და შემდგომი განვითარება წინასწარ კი არ იყო დაგეგმილი, არამედ სხვადასხვა დროის და კონფიგურაციის სახლების საშუალებით არის შექმნილი. მთავარი იყო გეგმარებითი პრინციპი, ნასაზრდოები თავისი დროის ყოფით-სოციალური და მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებებით – მწკრივული განაშენიანება კვარტალების პერიმეტრზე (დროის მხატვრული ესთეტიკის შესაბამისი და დამკვეთის შეძლებაზე დამოკიდებული ფასადები) და ღია აივნები (ზოგჯერ თავიდანვე შემინული) თავისუფალი მოხაზულობის მქონე შიდა ეზოებისკენ.



უზნაძის და უ. ჩხეიძის ქუჩების შიდა კვარტალი

კვარტალების დაგეგმარებისას დამახასიათებელი ნიშანი, კვლავ სოციალური ასპექტებიდან გამომდინარე, ნაგებობათა იერარქიულობა იყო. ქუჩების პერიმეტრებზე იდგა კარგი ხარისხის ფასადებიანი ნაგებობები, ხოლო შიდა კვარტალში ქუჩებზე გამომავალი სახლების ნაკლები არქიტექტურული ღირებულების დამხმარე ნაგებობები – მოსამსახურე პერსონალის სახლები, ფარეხები ეტლებისთვის, თავლები და სხვ. თავდაპირველად ამგვარ ნაგებობებს, მთავარ შენობასთან ერთად გარკვეული ფუნქციური კომპლექსის სახე ჰქონდა და გარკვეულ ურბანულ ღირებულებასაც შეიცავდა, თუმცა ფუნქციის დაკარგვასთან ერთად, შემდგომმა მინაშენებმა და გადაკეთებებმა თითქმის ყოველ მათგანს დაუკარგა თავდაპირველი სახე და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება. **ჩვენს განსახილველ კვარტალში განსხვავებული ვითარებაა – ჩხეიძის ქუჩის პირზე დგას რამდენიმე კარგი ხარისხის საცხოვრებელი სახლი, თუმცა კვარტალის ცენტრში ჩხეიძის ქუჩიდანვე აქ მანამდე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე თავიდანვე დაპროექტდა რამდენიმე მოზრდილი ნაგებობა სამედიცინო დაწესებულებისათვის.**

ეს კვარტალიც, ქუჩების პერიმეტრზე XIX-XX სს-ის დასაწყისში მწკრივულად იყო განაშენიანებული, ხოლო შიგნით არსებული გამწვანებული ტერიტორია თანდათან ივსებოდა მცირე მასშტაბის ნაგებობებით. აქ ამგვარ გამწვანებულ არეებს წარმოადგენდა ვაჟთა II გიმნაზიის ეზო და ეზო № 13 და №15 სახლების უკან. **დომინანტური სახე აქ თავიდანვე ჰქონდა ვაჟთა II გიმნაზიის მასიური შენობას (დღეს განათლების სამინისტრო), დანარჩენი ნაგებობები კი მასზე სწორდებოდა.** ამ ნაგებობას მეტოქეობა გაუწია XX ს-ის ბოლოს აგებულმა ხუთსართულიანმა საცხოვრებელმა სახლმა ხიდის თავში და თავად საავადმყოფოთა მოზრდილმა კორპუსებმა უ. ჩხეიძის და უზნაძის ქუჩების შორის. **ხოლო მარჯანიშვილის თეატრის გადაღმა აგებულმა, ათსართულიანმა ნაგებობამ დისონანსი შეიტანა არსებული განაშენიანების სივრცობრივ სტრუქტურაში.**

განაშენიანების და კვარტალის მხატვრული ხასიათი

ჩვენთვის საინტერესო უბანი იერარქიული პრინციპებიდან გამომდინარე განსხვავდება აღმაშენებლის გამზირისგან მხატვრული ხასიათით და ჩამორჩება მას ესთეტიკური ღირებულებებით. XIX-XX სს-თა მიჯნაზე აქ ინერციულად მიმდინარეობს თბილისში უკვე აპრობირებული არქიტექტურული რეპერტუარის რეალიზება. ძირითადად აქ ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლებია ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული (აქა-იქ მოდერნის) მდიდრული საფასადო მოტივებით. ფასადების მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ნალესობით გამოყვანილ სარკმელთა სათაურები, სარტყლები და ლავგარდანები. გვხვდება აგურის ფასადებიც.



უზნაძის ქუჩაზე წამყვანი ადგილი უჭირავს დღევანდელ განათლების სამინისტროს შენობას. ეს არის შეულესავი აგურის ფასადებიანი მასიური ნაგებობა აღმოსავლეთ ევროპული სტილის ეკლექტიკური ჩანართებით. იგი დასახსრულია აგურის სახეებიანი ლავგარდანებით, კბილანებიანი ფრიზებით, სარკმელთა შეისრულთაღოვანი თავსართებით და იმპოსტებით. ნაგებობა მასიურია, თუმცა მისი გეგმარებით-სტრუქტურული სახე, გადახურვის დასახსრულ სისტემასთან და საფასადო გაფორმებასთან ერთად ამსუბუქებს მის მოცულობას.



მსგავსი არქიტექტურული ესთეტიკის და ოდნავ ნაკლებად მორთულია ამ ნაგებობის ფასადები მოკლე გვერდის და შიდა ეზოს მხარეს. შიდა ფასადი აქ აქცენტირებულია დამოუკიდებელ გადახურვიანი, ნახევარწრიულად შვერილი რიზალიტით, რომელსაც წინა მხრიდან ასევე დამოუკიდებელ სახურავიანი კოშკურა ტიპის მოცულობა აქვს მიდგმული. აგურის წყობის შეულესავი ფასადის დანარჩენი ნაწილი შიდა კვარტალში, მტკვრის მიმართულებით წაგრძელებულ სამსართულიანი ფლიგელითურთ, მოცულია თაღოვან და მართკუთხა სარკმლების რიგებით. წაგრძელებული ფლიგელის ბოლო ნაწილი ფლანკირებულია მორთულ პარაპეტიანი კოშკურა ტიპის შვერილით.

ნაგებობები საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/
ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010105216



1. სახელწოდება - საბავშვო ბაღი, ნ. ჟორდანიას სახ. სკოლა
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ჩხეიძე უშანგის ქუჩა 13
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - 1834 წელი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/
ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010105243



1. სახელწოდება - საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ჩხეიძე უშანგის ქუჩა 15
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის დასასრული

საცხოვრებელი სახლები №13 და №15 უ. ჩხეიძის ქუჩაზე







საცხოვრებელი სახლი №19 უ. ჩხეიძის ქუჩაზე

შიდა კვარტალი ერთმანეთს აკავშირებდა დ. უზნაძის და უ. ჩხეიძის ქუჩებს. ეს იყო ღია გამწვანებული სივრცე, რომელიც ჩართული იყო ამ უბნისთვის დამახასიათებელი წაგრძელებული შიდა ეზოების სისტემაში.

შიდა კვარტალში, „ჩვენი“ საკვლევი ნაგებობის მოპირდაპირე მხარეს, აგურის ღობის იქით დგას არქიტექტურული ძეგლი, ყოფ. გიმნაზიის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც თავდაპირველად ცალკე იდგა შემდეგ კი ჩაშენებით დაუკავშირდა დღევანდელ განათლების სამინისტროს შენობას. უ. ჩხეიძის ქუჩაზე გადის სამი საცხოვრებელი სახლი, რომლებიც აღრიცხულია არქიტექტურულ ძეგლად. აგურის შეულესავი წყობისაა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი №19. იგი გიმნაზიის მასწავლებლების საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა არქიტექტურულ ძეგლებად არის ასევე აღრიცხული უ. ჩხეიძის ქუჩის პერიმეტრზე მდგომი ორი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი №13 და №15. №13 სახლში ამჟამად საბავშვო ბაღი და ნ. ჟორდანიას სახელობის სკოლაა.







ტოპოგეგმა


1. ტრავმატოლოგიური საავადმყოფო (განძრახულია დემონტაჟი);
2. მიმღები კორპუსი (განძრახულია დემონტაჟი);
3. სამშობიარო სახლი (განძრახულია დემონტაჟი);
4. ადმინისტრაციული კორპუსი;
5. ერთსართულიანი სახლი (განძრახულია დემონტაჟი);
6. ერთსართულიანი ნაგებობა (განძრახულია დემონტაჟი);
7. ორსართულიანი მინაშენი (განძრახულია დემონტაჟი);
8. ერთსართულიანი ფარდული (განძრახულია დემონტაჟი);
9. I ტრანსფორმატორი;
10. II ტრანსფორმატორი მინაშენით (განძრახულია მინაშენის დემონტაჟი);
11. დარბაზული ეკლესია..

3. საპროექტო ტერიტორია



საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ტრაპეციის ფორმის წაგრძელებულ ეზოს რომელშიც დგას საავადმყოფოს სამ-ოთხსართულიანი სამი კორპუსი და რამდენიმე ერთ-ორსართულიანი მცირე ზომის ნაგებობა. მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით არც ერთი მათგანი არ გამოირჩევა. ტერიტორიის გვერდებზე არქიტექტურული ძეგლებია დაფიქსირებული.





ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს ორი კორპუსი, 2009წ.



მარცხენა კორპუსი



მარჯვენა კორპუსი

სამხრეთ მხარეს უ. ჩხეიძის ქუჩის პერიმეტრზე ერთ სტრუქტურად არის ჩამოყალიბებული განსხვავებული სტილისა და მოცულობის ორი ნაგებობა. აქ თბილისის ტრავმატოლოგიური საადადმყოფო (მოზრდილთა) იყო განლაგებული. მარცხნივ სხვადასხვა ზომით ნაშვერი რიზალიტით ფლანკიებული სამსართულიანი კორპუსია, რომლის კონსტრუქტივისტული სტილის განმსაზღვრელია მაღალი, მართკუთხა ფორმის სარკმლებით დასახსრული ფასადი და კოშკისებური რიზალიტები. რიზალიტები ცენტრალურ მონაკვეთთან ერთად დასრულებულია მაღალი პარაპეტით და ტალღოვანი ფრონტონებით. სართულები გამოყოფილია საფეხუროვანი „ქამრებით“. მაღალი შესასვლელი კარი ცენტრალური მონაკვეთიდან აქვს (ჩხეიძის ქუჩიდან). ნაგებობის ჩრდილოეთი, აგურის შეულესავი წყობის კედელი მეზობელ ეზოსკენ იმზირება, სამხრეთ კედელზე კი მოგვიანებით ოთხსართულიანი ნაგებობაა მიდგმული. იგი 1960-იანი წლების არქიტექტურული ესთეტიკის ნაყოფია. გამარტივებული საფასადო სიბრტყეებით, გადახურვის სოფიტური კარნიზით, ლითონის წაგრძელებული აივნებით და ამ ეპოქისთვის დამახასიათებული პროპორციის მარტივი მართკუთხა სარკმლებით.









ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს კორპუსები ეზოს მხრიდან, 2012წ.



საერთო ფასადი ეზოს მხრიდან

ორთავე ნაგებობის ეზოს ფასადის მხარე რამდენჯერმე არის გადაკეთებული. დაგრძელებულია „კონსტრუქტივისტული „შენობის“ П –ს ფორმის ფლანგები. საბოლოოდ მათ მსგავსი მხატვრული იერი აქვთ შეძენილი. ეს არის მარტივი სარკმლებით დასახსრული ფასადები საავადმყოფოს ფუნქციური მოთხოვნილების შესაბამისი პროპორციებით. ნაგებობებს განსხვავებული გადახურვა აქვთ.

ორთავე ნაგებობის ინტერიერში რამდენჯერმე არის ჩატარებული რემონტი და თავდაპირველი მხატვრული სახეებიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი. ტიხრებით შეცვლილია ოთახების ზომა და ფორმა.



თბილისის II სამშობიარო სახლი, 2009წ.



ფასადი ჩხეიძის ქუჩის მხრიდან



ფასადი ჩხეიძის ქუჩის მხრიდან

კომპლექსის მესამე მოზრდილი შენობაა თბილისის II სამშობიარო სახლი. იგი შიდა კვარტალში დგას და მისი ფასადები მხატვრულ-იერარქიული თვალსაზრისით თანაბარი ძალისაა. ეს ნაგებობა სხვა დანარჩენზე ადრეულია. იგი XX ს-ის პირველი ნახევრისა უნდა იყოს. ნაგებობა რამდენჯერმეა გადაკეთებული. თავდაპირველად ეს იყო მაღალ ნახევარსარდაფულ სტრუქტურაზე შემომდგარი, П –ს ფორმის რთული გეგმარების სამსართულიანი სახლი. შემდეგ მიშენდა ფლიგელები ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილზე.

ჩხეიძის ქუჩისკენ მიმართული წაგრძელებული ფასადი მარტივი, მართკუთხა სარკმლებით არის დანაწილებული. სარკმლები ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშეა. ცენტრში თხელი მართკუთხა რიზალიტია, რომელიც აქცენტირებულია დამოუკიდებელი პარაპეტით. ფასადის წინ, შუა მონაკვეთთან, წაგრძელებული ტრანშეაა, საიდანაც არის ჩასასვლელი სასარდაფო სართულში. მარტივი შესასვლელი კარი მოწყობილია ცენტრალურ რიზალიტში და სამხრეთ ფლანგზე.






მიშენებული ფლიგელების ფასადები, ხედი ჩხეიძის ქუჩისკენ, 2012წ.



საერთო ფასადი უზნაძის ქუჩის ეზოს მხრიდან



ნაგებობა უზნაძის ქუჩის მიმართულებით გადაკეთებულია. დაგძელებული ფლანგების ფასადები კიდევ უფრო გამარტივებულია და მეტად გაუბრალოებული არქიტექტურული ესთეტიკისაა. მარტივი ფასადები აქაც დასახსრულია საავადმყოფოს ფუნქციური მოთხოვნილების შესაბამისი პროპორციების ღიობებითა და სარკმლებით. საინტერესო აქცენტია ჩრდილოეთ ფასადზე. აქ დაპროექტებულია სამწახნაგა შვერილი რიზალიტი კარგად გადანაწილებული ღიობებით.


ნაგებობის ინტერიერში, ისევე როგორც წინა კორპუსში, რამდენჯერმე არის ჩატარებული რემონტი და თავდაპირველი მხატვრული სახეებიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი. ტიხრებით შეცვლილია ოთახების ზომა და ფორმა. თავდაპირველი შენობა გადახურულია კრამიტის საბურავიანი კოლოფა გადახურვით. შემდეგრდოინდელი მინაშენები თუნუქის და კრამიტის ორქანობიანი გადახურვისაა. დამოუკიდებელი მარაოსებური გადახურვა აქვს ჩრდილოეთის სამწახნაგა რიზალიტს.





ადმინისტრაციული კორპუსი

ერთსართულიანი სახლი



ადმინისტრაციული კორპუსის ფასადი

სამშობიარო სახლის სამხრეთით, გვერდით მდებარე ნაკვეთის საზღვარზე წაგრძელებულია ახლო წარსულში აგებული ორსართულიანი ადმინისტრაციული კორპუსი. ეს არის მართკუთხა გეგმარების ნაგებობა მარტივი მართკუთხა სარკმლებით მისი გრძივი ფასადის ნახევარსარდაფულ და ზედა ორთავე სართულზე. მოპირდაპირე გრძივი ფასადი ყრუა. აქვს ბრტყელი გადახურვა. მეორე სართულზე ასასვლელი ღია კიბე მოწყობილია მოკლე ფასადზე. ნაგებობას არ გააჩნია მხატვრულ არქიტექტურული ღირებულება.

ადმინისტრაციული კორპუსის გვერდით, ჩხეიძის ქუჩისკენ, თუნუქის კოლოფა გადახურვიანი და მარტივი ერთსართულიანი ნაგებობაა. ეს შენობა არ გამოირჩევა მხატვრული ღირებულებით. შელესილი ფასადი დაფერილია ღიაცისფრად.



ერთსართულიანი ნაგებობა



ორსართულიანი მინაშენი

კიდევ ერთი ერთსართულიანი ნაგებობა დგას ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოსა და სამშობიაროს შენობებს შორის. იქვე დასავლეთისკენ მომიჯნავე ნაკვეთის ნაგებობაზე მიშენებულია ორსართულიანი წაგრძელებული მოცულობა. ეს ნაგებობები მარტივი სახის შენობებია. ორთავე ნაგებობა დაყოფილია მართკუთხა კარ-სარკმელთა რიგებით. ნაგებობები გადახურული იყო თუნუქის მარტივი სახურავებით. ამ ნაგებობებს არ გააჩნიათ არავითარი მხატვრული აქცენტი ორთავე ეს დაბალი ღირებულების მქონე ნაგებობა უკვე სანახევროდ დანგრეულია.





ტრანსფორმატორი

ტრანსფორმატორი მინაშენით

საპროექტო ტერიტორიაზე ასევე დგას ორი სტანდარტული ზომის სატრანსფორმატორო ნაგებობა. ერთ-ერთ მათგანზე დაბალი არქიტექტურული ღირებულების მქონე მცირე მინაშენია.





მომიჯნავე ნაგებობები

ფარდული

საპროექტო ტერიტორიას შუა ნაწილში ემიჯნება Г-ს ფორმის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების ყრუ კედლები. ერთ-ერთ ასეთ ორსართულიან საცხოვრებელ სახლზე, მისამართით უზნაძის ქ.№54, მიშენებულია ერთსართულიანი წაგრძელებული ფარდული გადახურული აზბოცემენტის ცალქანობიანი საბურავით. იგი არქიტექტურული თვალსაზრისით არაღირებულია.



დარბაზული ეკლესია

უზნაძის ქუჩის მხარეს საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთის ბოლოს, უზნაძის ქუჩისკენ დგას რამდენიმე წლის წინ აგებული დარბაზული ტიპის ეკლესია.

დასკვნა და რეკომენდაცია

ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უბანის არქიტექტურული სახე საპროექტო ტერიტორიაზე შექმნილია ყოფილი გამწვანებული ბაღების ტერიტორიაზე, ერთი ეპოქისა და სტილის და სხვადასხვა მასშტაბის ნაგებობათა ერთობლივობით. აქ ძირითადია XXს-ის შუა პერიოდის არქიტექტურული ესთეტიკა. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ კი XIX-XX სს-ის მიჯნის არქიტექტურული ნაგებობებია, რომელთა შორის რამდენიმე არქიტექტურული ძეგლია.

მეზობელ ნაგებობათა შორის ყველაზე მასშტაბური შენობა – განათლების სამინისტროს სამსართულიანი სახლი №52, ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლია. არქიტექტურული ძეგლია ასევე ჩხეიძის ქუჩაზე გამომავალი სამი საცხოვრებელი სახლი.

საპროექტო ტერიტორიაზე მდგომი ნაგებობები კი უსტატუსო შენობებია. თუმცა მათ შორის გარკვეული მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევა ტრავმატოლოგიის საავადმყოფოს და II სამშობიაროს შენობა. საავადმყოფოს შენობა კონსტრუქტივისტული სტილის ნაგებობაა თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი სახასიათო არქიტექტურული ნიშნებით. მასზე სამხრეთიდან მოგვიანებით მიდგმული ოთხსართულიანი კორპუსი თავისთავად ნაკლებად ღირებულია მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, თუმცა კარგად არის მორგებული ადრინდელ ნაგებობაზე და უბნის ურბანული სტრუქტურის ევოლუციური განვითარების ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს.

ასევე თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებითა და ტექნოლოგიური ხერხებით გამოირჩევა II სამშობიარო სახლის შენობაც. საინტერესოა მისი გადახურვის სისტემა და ჩრდილოეთ ფლანგის გვერდითი ფასადის არქიტექტურული სახე.

ამ ნაგებობათა დემონტაჟი კანონით არ არის აკრძალული შესაბამისი პროცედურების დაცვით. თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს რა უნდა დაპროექტდეს ამ ნაგებობების ნაცვლად და ამ ახალი მოცემულობის ფუნქციის შესაბამისად, როგორი სტრუქტურისა და მხატვრულ-ატქიტექტურული სახის მოცულობები აშენდეს. ასევე სასურველია ამ ნაგებობათა სტრუქტურისა და მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლების რემინისცენციური ასახვა ახალი მოცულობების დაპროექტებისას.

კომპლექსის დანარჩენ ნაგებობებს მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით არავითარი ღირებულება არ გააჩნია და მათი დემონტაჟი სათანადო ღონისძიებებით შესაძლებელი ჩანს.

პროექტირებისას, აქ გასათვალისწინებელია ის ურბანული გარემო, რომელშიც მოქცეულია საპროექტო ტერიტორია. აქ, ერთმანეთის გვერდი-გვერდაა ორი განსხვავებული არქიტექტურული ესთეტიკა – ძველი, XIX-XX სს-ის დასაწყისის (ყოფილი ვაჟთა II გიმნაზიის შენობათა კომპლექსი, ყოფილი რეალური სასწავლებელი და საცხოვრებელი სახლები ჩხეიძის ქუჩაზე) და ახალი, XX ს-ის შუა პერიოდის და დასასრულის განაშენიანება (XX ს-ის შუა პერიოდისაა წიგნის სახლი მარჯანიშვილის ქუჩაზე და საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ საავადმყოფოთა შენობები, ხოლო საუკუნის ბოლოს აშენდა საცხოვრებელი სახლი იქვე, მარჯანიშვილის ქუჩის დასაწყისში). საპროექტო ტერიტორიის უკან უზნაძის ქუჩისკენ მარჯანიშვილის თეატრის გადაღმა უბნისთვის შეუსაბამო მრავალსართულიანი კორპუსებია.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია,, რომ მაგალითად არ ვაღიაროთ ირგვლივ არსებული უსახო არქიტექტურა და მასზე გავსწორდეთ. აქ უკვე ისედაც საკმარისადაა საბჭოთა ქალაქების გარეუბნებისთვის დამახასიათებელი მარტივი კონსტრუქციები. კონცეფციურად ამ უბნისთვის უპრიანი იქნება მხედველობაში გვქონდეს XXს-ის II ნახევრის ხარისხიანი არქიტექტურის ნიმუშები. მითუმეტეს უბნის პრესტიჟულობა და გამორჩეული ადგილმდებარეობა საშუალებას იძლევა, რომ აქ ახალი მოცულობების დაპროექტებისას აუცილებლად იქნეს გათვალისწინებული ნაგებობათა არქიტექტურული სახის და მშენებლობის მაღალი ხარისხი.

ახალ ნაგებობათა ახალი ფინქციური დანიშნულების შესაბამისად ზოგადი გადაგეგმარება შესაძლებელი ჩანს, ოღონდ სასურველია, რომ გათვალისწინებული იყოს თავდაპირველი გეგმარებითი სტრუქტურის ხასიათი და პროექტირება წარიმართოს სტრუქტურის თავდაპირველი ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით. ამასთან სასურველია დავიცვათ შემდეგი რეკომენდაციები:

გადაწყვეტილი უნდა იყოს თუ რა ფუნქიის ნაგებობები აშენდება. გასათვალისწინებელი იქნება არა მხოლოდ ნაგებობების მხატვრულ-არქიტექტურული სახე არამედ მთელი ამ კომპლექსის მოცულობითი სტრუქტურის მხატვრული თავსებადობა ირგვლივ არსებული განაშენიანების სტრუქტურასთან და ზოგადად თბილისის არქიტექტურულ სახესთან; სართულიანობის შესაბამისობა ისტორიულ განაშენიანებასთან (სასურველია სასიმაღლო დონეების ერთგვარი არითმიულობა); გადახურვათა ფორმები და კომპლექსის თავსებადობა უბნის ზედხედში;

ამასთან სასურველია რიგი გეგმარებითი და მხატვრული სახის რეკომენდაციების გათვალისწინება:

- უბნის თითქმის ყველა ნაგებობა და მათ შორის დიდი შენობებიც მოცული იყო შესაბამისი მასშტაბის გამწვანებული ეზოებით, რაც უბნის განაშენიანების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. მით უმეტეს აქ ყველა ნაგებობა გამწვანებულ ტერიტორიებსა და ბაღების ადგილზეა აგებული;

- ამიტომ არ უნდა მოხდეს რელიეფის სრულად გადაფარვა და მნიშვნელოვანი ფორმით არის შესანარჩუნებელი გამწვანებული ეზოს სისტემა;

- ახალი მოცულობების ზოგადი სტრუქტურა, ფასადების მხატვრული სახე, საფასდე სიბრტყეებისა და ღიობების რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება არ უნდა არღვევდეს ზოგადად ამ უბნის ღირებული განაშენიანების ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას და ნეიტრალურ „ჩამქრალ“ ფერებს;

- ამავე დროს ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილისტიკა ზომიერად უნდა იყოს გამოყენებული, რათა ახალმშენებლობა არ დაემსგავსოს ბუტაფორიას;

- უბნის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია ავტომანქანების რაოდენობის გაზრდა, რაც უფრო დაამძიმებს პარკირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამ საკითხს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, იგი უნდა წარიმართოს მიწის ზედაპირის მინიმალური ფართის გამოყენების გზით. მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას მიწისქვეშა პარკირების შესაძლებლობა;

- სასურველია ფოტომონტაჟის წარმოდგენა ცალკეული ნაგებობების ფასადებისა და საერთო განშლებთან ერთად, ახალმშენებლობის მთელი კომპლექსის ჩვენებით ირგვლივ არსებული განაშენიანების ფონზე, ზედხედიდან. რათა კარგად გამოჩნდეს ახალი მოცულობების თავსებადობა უბნის არსებულ განაშენიანებაში;

- ასევე აუცილებლად იქნება გასათვალისწინებელი მშენებლობის მაღალი ხარისხიც;

  – ვფიქრობთ, რომ ყოველივე ამის გათვალისწინების შემთხვევაში უბანს შეუნარჩუნდება თვითმყოფადი არქიტექტურული სახე, რაც მოგვცემს ევოლუციური განვითარების საშუალებას.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
29. 06. 2012წ.